N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	ქვეპროგრამით ყოველთვიურად მოსარგებლეთა რაოდენობა	4	2	1	1
2	ქვეპროგრამით ყოველთვიურად მოსარგებლეთა რაოდენობა	78	78	74	4
3	ქვეპროგრამით ყოველთვიურად მოსარგებლეთა რაოდენობა	18	18	18	0

06 03 10 ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეთა 5 ბენეფიციარი_ დახარჯულია 8,5 ათასი ლარი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		06 03 10	ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება
--	--	----------	--

პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა 1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. 2. 2008 წლის წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა და მათი საფლავების მოვლა-პატრონობა	მიღწეული შედეგი	

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	5	5	5	0	

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამა - გეგმა 4,0 ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 1,0 ათასი ლარი. მოსარგებლეა 1 პირი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და ზევით ხანდაზმულთა დახმარება საიუბილეოდ 1000 ლარის ოდენობით	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ხანდაზმულთა დაფასება	მიღწეული შედეგი

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	3	4	1	3	ბენეფიციარის გარდაცვალება

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარების წლიური დამტკიცებული გეგმა იყო 30,0 ათასი ლარი, დაზუსტების შედეგად გეგმა განისაზღვრა 113,2 ათასი ლარით და დახარჯულია 112,3 ათასი ლარი, ანუ 60,4 ათასი ლარით მეტი გასულ წელთან შედარებით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა დახმარება სხვადასხვა ღირშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, ქვეპროგრამით მუდმივად მოსარგებლეა 22 პირი. ასევე, სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავად სხვადასხვა სახის დახმარება გაიცა 1358 პირზე.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებს გაიწევა ფინანსური დახმარება 200 ლარით. ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების დახარალებულებს _ 100 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დახარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შექმნა. საკვები პროდუქტის შექმნა ან ფულადი დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა და სადღესასწაულო განწყობის შექმნა	მიღწეული შედეგი სადღესასწაულოდ მოწყვლადი ჯგუფი მხარდაჭერილია ფინანსურად

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	429	500	1380	880	წლის ბოლოს დამატებითი თანხა მიიმართა საახალწლო დახმარების გასაცემად

06 03 13 სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი 10,1 ათასი ლარი მთლიანად დაიხარჯა და დაკმაყოფილდა 50 განცხადება.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	

პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (65000 ქულის ჩათვლით) გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურებისთვის გაიწვევა დახმარება 200 ლარის ოდენობით. 2. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -300 ლარის ოდენობით. პირველ შემთხვევაში ოჯახის უფლებამოსილი წევრის, მეორე შემთხვევაში - ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილის ოჯახის მხარდაჭერა/მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებისთვის ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	უკიდურესად ღატაკი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	53	50	50	0	

06 03 14 უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით (შეშა) დახმარების გეგმა განისაზღვრა 10,0 ათასი ლარით. თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე, გაიზარდა და განისაზღვრა 40,0 ათასი ლარით, რაც ათვისებული იქნა სრულად.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწვევა დაბალი მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით (შეშა)	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უმწუო ოჯახების სათბობი მასალით უზრუნველყოფის ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი მართობელა მოხუცების და უმწუო ოჯახების დახმარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	120	250	250	0	

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20,3 ათ. ლარით. დახარჯულია 20,3 ათ. ლარი. ისარგებლა 116 ახალშობილის ოჯახმა.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შექმნის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შექმნის შემთხვევაში 150 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შექმნის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შექმნის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	115	116	116	0	

06 03 16 გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა - 1,0 ათასი ლარი. დახარჯულია 0,25 ათასი ლარი. დაკმაყოფილდა 1 განცხადება.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი გარდაცვლილის ოჯახის დახმარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	4	4	1	3	მომართვიანობა

06 03 17 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში გეგმა შესრულებულია 97,8 % დაზიანებულ სახლზე დახმარება გაიცა 176 მოქალაქეზე, თანხით 136,8 ათასი ლარი. ბინის ქირით უზრუნველყოფით 6 მოქალაქეს და ამ მიზნით დაიხარჯა 13,8 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან ქვეპროგრამაზე მიმართულია 18,7 ათასი ლარი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 17	სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწვევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და/ან სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიის შესაბამისად. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. 2. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო ოჯახების და ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებელი უზრუნველყოფა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ოჯახებისთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა/გაუმჯობესების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი
		მიღწეულია მიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, ასევე, უსახლკარო პირები უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება	
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	152	170	176	6	დამატებით მიიმართა თანხა სარეზერვო ფონდიდან
5	ქვეპროგრამით ყოველთვიურად მოსარგებლეთა რაოდენობა	5	5	6	1	მომართვიანობა

06 03 18 უფასო სასადილო ემსახურება მუნიციპალიტეტის მასშტაბით უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას, შშმ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა ადამიანებს. სათნოების სახლთან არსებული უფასო სასადილოს მიზანია უზრუნველყოს ბენეფიციართა უფასო კვება და საკვები პროდუქტებით დახმარება.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	უფასო სასადილო	06 03 18
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა)ი.პ.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების ინვალიდების კვირაში ექვსი დღე კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით, დახმარება ასევე მოწყვლად ჯგუფებზე. პროგრამის მიზანია შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა	მიღწეული შედეგი
		შიმშილის ნაწილობრივ აღმოფხვრა

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	160	160	140	
2	დახმარების მიმღებთა რაოდენობა	55	55	86	

06 03 19 სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა- გეგმა განისაზღვრა 18,2 ათასი ლარით. აქედან 8,3 ათასი ლარი დაიხარჯა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მოსარგებლე 6 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფური მეცადინეობისა და ლოგოპედის მომსახურებისთვის, რისი მეშვეობითაც მეტყველების თერაპევტის და ჯგუფური მეცადინეობის მომსახურება მიიღო 30 ბავშვმა. ხოლო 9,0 ათასი ლარი დაიხარჯა უფასო სასადილოს ოთახის კეთილმოწყობისთვის.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 19	სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა/საგრანტო პროექტების ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დაწესებულება. ამ მიზნით გაფორმდა სამხმრთი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 8 პედაგოგი, მომზადდა ადაპტირებული გარემო ჯგუფური მეცადინეობებისთვის. მერიის მხრიდან ხდება პროექტის თანადაფინანსება.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება და შშმ და სსმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი
		მიღწეულია სერვისის უწყვეტად მიწოდება საჭიროების მქონე ბავშვებისთვის

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	30	30	30	0	

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით დაგეგმილი 15,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 12,8 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულია 27 საქმე.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ამოიცავს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ პირველად მხარდაჭერას, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური, ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. დახმარება გაიწვევა განცხადების საფუძველზე, ოჯახში ვიზიტს ახორციელებს მობილური ჯგუფი, რომელიც აფასებს ოჯახის მდგომარეობას და საჭიროებს. მობილური ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს დახმარების სახეს და ახდენს შემდგომ რეაგირებას	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სოციალური პასუხისმგებლობა	მიღწეული შედეგი მიღწეულია ოჯახის კრიზისის დაძლევა მოკლე დროში

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	2	10	10	0	მოკვლევული და შესწავლილია 27 ოჯახი. ფინანსური დახმარება გაეწია 10 პირს

06 03 21 ვეტერანთა დახმარების გეგმა განისაზღვრა 17,0 ათ. ლარით. დაკმაყოფილდა 67 განცხადება და დაიხარჯა 16,9 ათ. ლარი.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ამოიცავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი მიღწეულია პრობლემის ერთჯერადად მოგვარება

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	50	67	67	0	

მმართველობა და საერთო დანიშნულება - პროგრამული კოდი 01 00

მუნიციპალიტეტმა მმართველობაზე დაგეგმილი 4 307,2 ათასი ლარიდან გაწია 4 061,8 ათასი ლარი, დაგეგმილზე 245,4 ათასი ლარით ნაკლები, ათვისებულია 94,3 %.

ცხრ. N 15

ათას ლარებში

პროგრ. კოდი	დასახელება	2021წლის ფაქტი	2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2022 წლის ფაქტი			გეგმა შესრულების %	მომხდომიან (+/-) 2022 გეგმის მიმართებაში	მომხდომიან (+/-) 2021 წლის მიმართებაში
			მათ შორის			მათ შორის			მათ შორის					
			სულ	სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	სულ	სახ. ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები			
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	2 427,5	4 174,6	66,0	4 108,6	4 307,2	67,1	4 240,1	4 061,8	66,0	3 995,8	94,3	-245,4	1 634,4
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 350,2	3 988,1	66,0	3 922,1	4 190,7	67,1	4 123,6	3 985,7	66,0	3 919,7	95,1	-205,0	1 635,5
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	599,6	934,8	0,0	934,8	1 064,0	0,0	1 064,0	955,8	0,0	955,8	89,8	-108,2	356,2
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	1 682,4	2 918,3	0,0	2 918,3	2 991,4	1,1	2 990,3	2 903,3	0,0	2 903,3	97,1	-88,1	1 220,9
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაცემის სამსახური	67,3	123,3	66,0	57,3	123,6	66,0	57,6	116,3	66,0	50,3	94,1	-7,3	49,0

პროგრ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2022 წლის ფაქტი			გეგმა შესრულების %	(+/-) 2022 გეგმასთან მიმართებაში	(+/-) 2021 წელთან მიმართებაში
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები			
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	0,9	11,7	0,0	11,7	11,7	0,0	11,7	10,3	0,0	10,3	88,0	-1,4	9,4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	77,3	186,5	0,0	186,5	116,5	0,0	116,5	76,2	0,0	76,2	65,4	-40,4	-1,1
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	93,5	0,0	93,5	38,5	0,0	38,5	0,0	0,0	0,0	0,0	-38,5	0,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,0	3,0	0,0	3,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		0,0	0,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	77,3	90,0	0,0	90,0	78,0	0,0	78,0	76,2	0,0	76,2	97,6	-1,8	-1,1

აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულო დაგეგმილი 1 063,9 ათასი ლარიდან დაფინანსდა 955,8 ათასი ლარით, 89,8 %; მუნიციპალიტეტის მერია 3 991,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 2 903,3 ათასი ლარით, 97,1 % და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 123,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 116,3 ათასი ლარი, მ.შ. 66,0 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 50,3 ათასი ლარი საკ. სახსრებით.

კადრების მომზადებაზე დაგეგმილი 11,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 10,3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების მომსახურებას მოხმარდა 76,2 ათასი ლარი, აქედან 50,9 ათასი ლარი აღებული სესხის დაფარვაზე იქნა მიმართული და 25,2 ათასი ლარი საპროცენტო მომსახურებაზე არის დახარჯული.

სულ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასესიო ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 534 811 ლარს, აქედან სესხის სახით გადასახდელი არის 356 455 ლარი და პროცენტის სახით 178,5 ათ. ლარი. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად იხდის აღნიშნულ სასესიო გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. განვილილ ხუთ წელიწადში უკვე დაფარულია 335,2 ათასი ლარის ვალდებულება, აქედან 182,7 ათ. ლარი სესხის და 152,5 ათ. ლარი პროცენტის სახით.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წელს მერის ბრძანებით გამოყოფილი იქნა 54 979 ლარი, მ. შ.

- 31 329 ლარი მიმართული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე
- 5.0 ათასი ლარი მიმართულია ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე
- 18 650 ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების და სსიპ-ის 2021 წლის წაერთი ბიუჯეტის შესრულება.

ცხრ. N 16

ათას ლარებში

ა(ა)იპ-ების დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნობა	2022 წლის გეგმა	მათ შორის		2022 წლის ფაქტი	მათ შორის		საკუთარი შემოსავლები	
			შრომის ანაზღაურება	სხვა დანარჩენი		შრომის ანაზღაურება	სხვა დანარჩენი	მიღებული	დახარჯული

1	ა(ა) იმ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	202	1 681,8	1036,2	645,6	1632,3	1031,4	600,9	5,8	5,8
	გარე განათება	11	282,0	75,0	207,0	281	74,9	206,3		
	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	154	1201,8	769,9	431,9	1156,0	768	388,1	5,800	5,790
	მწვანე ნარგავები	37	198,0	191,3	6,7	195,1	188,6	6,5		
	უპატრონო ცხოველები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
2	ა(ა)იმ ე.კიკნაძის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება	281,0	1743,2	1356,7	386,5	1732,4	1356,1	376,3		
3	სსიპ ბორის საჯარო სკოლა პანსიონი	24	102,7	98,0	4,7	102,7	97,9	4,8		
4	ა(ა)იმ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	25	176,2	148,0	28,2	176,2	148,0	28,2	1,094	0,781
5	ა(ა)იმ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი	76	481,0	425,0	56,0	480,7	425,0	55,7	10,610	10,037
6	ა(ა)იმ ხარაგაულის შ.ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	19	162,5	154,7	7,8	162,4	154,7	7,7	3,865	2,668
7	ა(ა)იმ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	130	840,0	726,1	113,9	839,1	726,1	113,0	11,32	10,33
8	ა(ა)იმ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი	6	76,8	49,5	27,3	73,7	49,1	24,6		
9	ა(ა)იმ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	27	197,2	170,7	26,5	196,2	170,9	25,3	53,5	53,5
10	ა(ა)იმ სათნოების სახლი	11	207,80	83,37	124,43	207,34	83,37	123,96		
	სულ ა(ა)იბები	801	5669	4248	1421	5603	4243	1360	86	83
	სსიპ ფოლკლორის ცენტრი 875 ; 850	2	22,70	22,70	0,00	22,70	22,70	0,00		
	სულ	803	5691.9	4271.0	1421.0	5625.8	4265.3	1360.5	86.2	83.1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ცხრა ა(ა)იპ და ორი სსიპ, რომლებიც ახორციელებენ თოთხმეტ საბიუჯეტო პროგრამას, აქედან ათი იმყოფება სუბსიდირებაზე, ხოლო ერთი იმყოფება საგრანტო დაფინანსებაზე .

2022 წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისათვის გადასაცემი სუბსიდია განისაზღვრებოდა 5 691,9 ათასი ლარი, ფაქტიურად ა(ა)იპებს და სსიპ-ებს მიღებული აქვთ 5 625,8 ათ. ლარის სუბსიდია და 86,2 ათასი ლარის საკუთარი შემოსავლები.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დაფინანსება მიერ განხორციელებულ ოთხივე პროგრამაზე 2022 წელს განისაზღვრებოდა 1 681,8 ათასი ლარით, ფაქტიურად ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ გაწულია 1 632,3 ათასი ლარის ხარჯი , აქედან 1 031,4 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებას მოხმარდა, 34,4 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე იქნა მიმართული ხოლო 600,9 ათასი ლარი დანარჩენ ხარჯებზე. ასევე საკუთარი შემოსულობები 5,8 ათასი ლარი მთლიანად მოხმარდა დანარჩენ ხარჯებს.

„დასუფთავება და ნარჩენების გატანა“ ქვეპროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება და გატანა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ყოველდღიურად გაედინება 35-40 მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენი რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგავმზიდი სპეციალური მანქანა. ოთხი მძღოლი, 9 მტვირთავი მუშა და 43 მეეზოვე.

ასევე ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის სამუშაოებს, რომელსაც ემსახურება წყალანიერების ჯგუფის 9 მუშა და 1 ჯგუფის უფროსი.

2022 წელს ამ პროგრამაზე ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით დახარჯულია 1 156,0 ათ. ლარი, ხოლო საკ. სახსრებით 5,8 ათ. ლარი. აქედან ხელფასების სახით გაიცა 154 თანამშრომელზე 768,0 ათ. ლარი. საოფისე ხარჯებმა შეადგინა 10,8 ათ. ლარი. შეძენილი იქნა 6,6 ათასი ლარის სპეცტანსაცმელი, სატრანსპორტო ხარჯებში დაიხარჯა 214,7 ათასი ლარი. სხვა დანარჩენი სახელშეკრულებო და დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას მოხმარდა 123,5 ათ. ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდაზე დახარჯული 34,0 ათასი ლარიდან შეძენილია მაღალი წნევის სარეცხი აპარატი სპეცმანქანების გასარეცხად, 36 ერთეული ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი და ერთი ცალი პრინტერი. ასევე ამავე მუხლით გაწეულია სამფაზა ძაბვაზე დაერთების და წყალმომარაგების სისტემების მოწყობის ხარჯები.

„გარე განათების ექსპლუატაცია“ ქვეპროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ამ კუთხით ა(ა)იპ ემსახურება დაბასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში განლაგებულ 3670 საყრდენ ბოძზე განლაგებულ ღამის განათების 110 კილომეტრიან ქსელს, რომელსაც ემსახურება ერთი ერთეული ამწემაქნიანი სპეცავტომანქანა, 1 მძღოლი, 6 ელექტრო მონტიორი და 2 დამხმარე მუშა. 2022 წლის ფაქტიური ხარჯი შეადგენს 281,0 ათას ლარს, პროგრამის დაფინანსებისას მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ყოველდღიურად მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურებას, რომელმაც საანგარიშო წელს შეადგინა 130,9 ათასი ლარი, 11 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 74,9 ათ. ლარი და გარე განათების ქსელისათვის სხვადასხვა საჭირო ინვენტარისა და მასალის შეძენას 75,0 ათასი ლარი.

„მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა“ ქვეპროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა, დასუფთავება, დაცვა, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, გასხვლა, კულტივაცია, პესტიციდებით მკურნალობა. რომელსაც ემსახურება 1 ჯგუფის უფროსი, 1 ბრიგადირი, 20 მუშა და 9 მეველე, რომელთა სახელფასო ფონდი შეადგენდა 188,6 ათას ლარს. სულ ქვეპროგრამა დაფინანსდა 195,1 ათასი ლარით, საიდანაც სხვადასხვა სათესლე,სანერგე და აუცილებელი ხარჯების გასაწევად დახარჯულია 6,5 ათასი ლარი.

„უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებები“ -ს მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი მიუსაფარი ძაღლების ოდენობა, მათი მკურნალობის სტერილიზაციის და შემდგომი დამუშავების მიზნით. ამ პროგრამის განსახორციელებლად გასულ 2022 წელს ორჯერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა, რის გამოც აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელება ვერ მოხდა.

ქვეპროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ერთად მოსაძებნია გზა ალტერნატიული თავშესაფარის მოსაწყობად.

„ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ აღნიშნული ა(ა)იპ ახორციელებს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა. გაერთიანებაში შემავალ 21 საბავშვო ბაღში 2022 წელს სიით ირიცხებოდა 523 ბავშვი და ბიუჯეტი განესაზღვრებოდა 1 743,2 ათასი ლარით, ფაქტიურად დახარჯა 1 732,4 ათასი ლარი, აქედან გაერთიანებაში დასაქმებულ 281 თანამშრომლის ხელფასებზე 1 356,1 ათასი ლარი, საოფისე და სხვადასხვა სასაქონლო ხარჯების დაფინანსებაზე დაიხარჯა 357,7 ათასი ლარი, აქედან სამჯერად კვებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 123,5 ათასი ლარი, მ.შ. საახალწლო ნობათის სახით 9,9 ათასი ლარი. საოფისე ხარჯებმა 187,9 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღების სანიტარული, ჰიგიენური და სახანძრო ნორმების დასაცავად გაწეულია 18,1 ათ. ლარი. ბორის, წიფის, ბორითის და მოლითის საბავშვო ბაღებში მიმდინარე რემონტის სამუშაოებს მოხმარდა 9,8 ათ. ლარი. სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად დაიხარჯა 31,4 ათასი ლარი. გაერთიანების მიერ 2022 წელს გაწეულმა კომუნალურმა ხარჯებმა შეადგინა 112,8 ათასი ლარი. ასევე სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულებაზე 37,1 ათასი ლარი იქნა დახარჯული,

18,5 ათასი ლარი დაიხარჯა არაფინანსური აქტივების ზრდაზე, შეძენილი იქნა მაცივრები, პრინტერები, სხვადასხვა ავეჯი და ინვენტარი.

სსიპ ბორის საჯარო სკოლა- „პანსიონი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას და გულისხმობს მოსწავლეების უზრუნველყოფას ღამის გათვით, კვებით

და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და სკოლაში დამრჩენი 12 ბავშვის გარდა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას. დამე გამთევი ბავშვები სარგებლობენ სამჯერადი კვებით. 2022 წელს პანსიონური მომსახურებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 102,7 ათასი ლარის სუბსიდია, რომელიც სრულად იქნა ათვისებული, აქედან, 97,9 ათ. ლარი 24 თანამშრომლის ხელფასებზე დაიხარჯა და დარჩენილი 7,6 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე მიიმართა, კერძოდ შეძენილი იქნა შემა, რბილი ინვენტარი, და გაწეული იქნა სხვა საოფისე ხარჯი.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი არის სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომელიც ეხმარება ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში. მოსწავლეთა სახლი აქტიურად თამაშობს როლს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებდა სხვადასხვა კონკურსებს და ატარებდა საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს, ხელს უწყობდა მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას და მოზარდთა ინტერესების ყოველმხრივ განვითარებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის 13 წრე: გარდა ამისა მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბასა და სოფ. ვერტყვიჭალაში. ბავშვებისთვის ყველა წრე უფასოა გარდა მუსიკალური სტუდიისა, რომელიც ნაწილობრივ ბიუჯეტით ფინანსდება, ნაწილი კი მშობელთა შემონატანით. (სოციალურად დაუცველი ოჯახები გათავისუფლებული არიან სწავლის გადასახადიდან). მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 200 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული. წრეებში ჩაბმულნი არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები. კერძოდ: კიცხის, მარელის, ლელვანის ბორითის, ვერტყვიჭალის, წიფის, ზვარეს საჯარო სკოლებიდან.

2022 წლის 176,2 ათასი ლარის სუბსიდია სრულად იქნა ათვისებული, საიდანაც 24 თანამშრომელზე ხელფასების სახით დაიხარჯა 148,0 ათასი ლარი. საოფისე და სახელმეკრულებო ხარჯებს 12,9 ათასი ლარი მოხმარდა, მ. შ 0,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. 4,0 ათასი ლარი დაიხარჯა კვების ხარჯებში საზაფხულო ბანაკ „პოინერფილმი“-ში მონაწილე ბავშვებისა და საახლწლო ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებისათვის. არაფინანსური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა 15,3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ერთი ერთეული კონდიციონერის შეძენას. შენობაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრების დამონტაჟებას, ბუნებრივი აირის შეყვანას და ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟებას.. საკუთარი შემოსავლები მიიღო 1,1 და დახარჯა 0,8 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლით. სხვაობა 0,3 ათასი ლარი ერიცხება ნაშთში.

ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი ემსახურება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოსწავლე ახალგაზრდობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებას და არჩეული სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, ცოდნისა და უნარ - ჩვევების რეალიზებას. ადგილობრივი შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“- ში ფუნქციონირებს სპორტის 15 სახეობა და 31 სპორტული სექცია. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 450 მოსწავლე, მათ შორის 70 გოგონა. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 15 სპორტულ მიმართულებას ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და შაში,ძიუ-დო, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე ტაიკვანდო, კარატე კუნგ-ფუ-სანდა, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, რაბი, კინგ-ბოქსინგი. სულ 30 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიცხში, ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორემაში, ვახანში და მოლითში. სამწვრთნელო პროცესი ტარდება კვირაში 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 72 თანამშრომელი, მათ შორის 42 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

ა(ა)იპ-ის 2022 წლის სუბსიდია განისაზღვრა 480,0 ათასი ლარით, ათვისებული იქნა 480,7 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებას 424,9 ათ. ლარი მოხმარდა, ხოლო 55,7 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებს,

2022 წელს ხარაგაულის სახელით მოასპარევე სპორტსმენებმა ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებში მოიპოვეს საპრიზო ადგილები. პირველ, მეორე, მესამე საპრიზო ადგილებზე გამარჯვებულ სპორტსმენებზე გაცემულია ერთჯერადი ფულადი ჯილდოები 8,2 ათასი ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში მიიღი 10,6 ათ. ლარის საკუთარი შემოსავალი რომელიც სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებას მოახმარა, ნაშთის სახით დარჩა 2,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. აქ დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 88 მავში. წლიური სუბსიდია 162,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად აითვისა 162,4 ათასი ლარი, აქედან 16 თანშრომლის სახელფასო ანაზღაურებაზე 154,7 ათ. ლარი და 4,6 ათ ლარი მიმართა სხვა დანარჩენ ხარჯებში.

არაფინანსური აქტივების ზრდაზე დახარჯა 3,1 ათასი ლარი, მ.შ. 2022 წელს საკუთარ შემოსავლებში ერიცხებოდა 3,9 ათ. ლარი, აქედან გადმოყოლილი ქონდა წინა წლის ათვისებული სავ. შემოსავლის ნაშთი 2,4 ათასი ლარი, წლის განმავლობაში დახარჯა 2,7 ლარი, რომელიც ძირითადად მოხმარდა საოფისე ავეჯის შეძენასა და წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას.

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი. 2022 წლის სუბსიდია განესაზღვრა 840,0 ათასი ლარით, საიდანაც აითვისა 839,1 ათასი ლარი, აქედან 130 თანშრომელზე გაიცა 726,1 ათასი ლარი ხელფასების სახით, შტატგარეშე მომუშავეებზე „უსინათლოთა პროექტის „ განსახორციელებლად 12,7 ათასი ლარი. საოფისე ხარჯები გაწეულია 31,1 ათასი ლარი. წარმომადგენლობით ხარჯებზე დაიხარჯა 6,6 ათასი ლარი. სატრანსპორტო მომსახურებაზე 14,5 ათასი ლარი, დანარჩენ ხარჯებზე მიმართა 29,4 ათასი ლარი.

23,5 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა, შვეთდა კინო-თეატრის გარე ფასადი, მოეწყო კიტა ბუაჩიძის ქანდაკების სადგამი, შეძენილია საბიბლიოთეკო წიგნები, მაცივარი, კომპიუტერი, კომბინირებული პრინტერ-სკანერი. ვიდეო-სათვალთვალო სისტემა.

89,4 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებში არის მიმართული. ტრადიციულად განხორციელდა პროექტი, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სასწავლო-საგანმანათლებლო უნარების ჩამოყალიბებას, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 11,8 ათას ლარით.

2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპმა მიიღო 11,3 ათასი ლარის სავ. შემოსავალი, საიდანაც დახარჯა 10,3 ათასი ლარი,

საკუთარი შემოსავლებიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე 3,8 ათასი ლარი დაიხარჯა, კერძოდ შეკეთდა კინოთეატრის, საბავშვო ბიბლიოთეკისა და კულტურის ცენტრის შენობების სახურავები. შეძენილი იქნა მაცივარი. დანარჩენი სავ. შემოსავლებით გაწეული იქნა წარმომადგენლობითი ხარჯი 3,5 ათასი ლარის, შეძენილი იქნა გამათბობელ-გამაგრილებელი ტექნიკა 0,7 ათ. ლარით, ანსამბლ „ოდელას“ წევრებისათვის შეიძინეს ფორმები, 0,6 ლარი დაიხარჯა შშმ პირების საჩუქრებზე და გაწეული სხვადასხვა ტექნიკური ხარჯი 1,7 ათასი ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. ამ პროგრამის განსახორციელებლად აღნიშნულმა ა(ა)იპ-მა გამოყოფილი 76,8 ათასი ლარიდან 73. 7 ათ. ლარი აითვისა, საიდანაც ხუთი თანაშრომლის ხელფასზე დახარჯულია 49,1 ათასი ლარი და 47,2 ათ. ასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე დახარჯა.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიზანია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და

რეაგირება ა(ა)იპ-ს 2022 წლის სუბსიდია განესაზღვრა 197,2 ათ. ლარი, ათვისა 196,2 ათასი ლარი, საიდანაც 27 თანამშრომლის ხელფასებზე დახარჯა 170,9 ათასი ლარი და 25,3 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე. საკუთარი შემოსულობები მიიღო 53,5 ათასი ლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული, მათ შორის 48,1 ათასი ლარი ხელფასების და 5,4 ათ. ლარი სხვა ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა. (მივლინება, სამედიცინო ხარჯი, ...
ა(ა)იპ სათნოების სახლი“ ემსახურება მუნიციპალიტეტის მასშტაბით უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას, შშმ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა ადამიანებს. სათნოების სახლთან არსებული უფასო სასადილოს მიზანია უზრუნველყოს ბენეფიციართა უფასო კვება და საკვები პროდუქტებით დახმარება.

უფასო სასადილოს ბაზაზე კვება არის ერთჯერადი, კვირაში ექვსი დღე (შაბათ დღისა და დღესასწაულების ჩათვლით). 2022 წელს მომსახურება გაეწია 140 ბენეფიციარს, აქედან დაბაში 98 ბენეფიციარს, ხოლო ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში: საღანძილეთში, ბაზალეთში, ლაშქში და ფარცხნალში კვირაში ორი დღე გამზადებული საკვების მიტანის სერვისით, საკვები პროდუქტები მიტანილი იქნა 42 ბენეფიციართან.

ა(ა)იპ -ს 2022 წლის სუბსიდია განისაზღვრებოდა 207,8 ათასი ლარით, საიდანაც ათვისებული იქნა 207,3 ათასი ლარით, მ. შ. 83,4 ათასი ლარი დაიხარჯა 11 მომუშავეს ხელფასებზე, კვების ხარჯებს მოხმარდა 92,8 ათასი ლარი, აქედან ერთჯერად დახმარებაზე დახარჯულია 7,4 ათასი ლარი. 8,8 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე იქნა მიმართული, საიდანაც შეძენილი იქნა კომპიუტერი, მაცივარი, გაზის გამათბობელი, გაზქურა და საცხობი ღუმელი. დანარჩენი 16,5 ათასი ლარით მოხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კერძოდ-სამზარეულოსა და სასადილო ოთახის მოპირკეტება, მოწესრიგდა სველი წერტილები, გამწოვი, განახლდა სამზარეულოს ინვენტარი კერძოდ პურის ჰიგიენური შენახვის კარადა, მოწესრიგდა სამუშაო მაგიდის ზედაპირები, შეძენილი იქნა წყლის გამაცხელებელი და მრავალი სხვადასხვა დასახელების სამზარეულოს ჭურჭელი, ასევე პირველადი დახმარების მედიკამენტები.

სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან დადებული მემორანდუმისა და ხელშეკრულების მიხედვით, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამას გრანტის სახით მოხმარდა 20,7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სალოტბარო სკოლაში დასაქმებულ ორი მომუშავეს ხელფასებზე დაიხარჯა.

2022 წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტიურად გაწეული ასიგნებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

	2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2022 წლის იანვარ-დეკემბრის შესრულება			მშპ-ის შესრულების %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახ. ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	26 988,2	13 729,4	13 258,7	25 260,5	12 762,8	12 497,7	93,6
მომუშავეთა რიცხოვნობა	207		207	206		206	
ხარჯები	12 884,0	1 561,5	11 322,5	12 470,2	1 527,9	10 942,3	96,8
შრომის ანაზღაურება	2 593,4	66,0	2 527,4	2 555,6	66,0	2 489,6	98,5
საქონელი და მომსახურება	2 910,9	1 369,6	1 541,3	2 725,0	1 336,6	1 388,4	93,6
პროცენტი	26,0	0,0	26,0	25,2	0,0	25,2	97,0
სუბსიდიები	5 572,4	88,0	5 484,4	5 505,9	88,0	5 417,9	98,8
გრანტები	33,9	0,0	33,9	33,9	0,0	33,9	99,9
სოციალური უზრუნველყოფა	1 290,9	1,0	1 289,9	1 272,1	0,3	1 271,8	98,5
სხვა ხარჯები	456,5	37,0	419,5	340,5	25,8	314,7	74,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	14 052,1	12 167,9	1 884,3	12 739,4	11 234,9	1 504,4	90,7
ძირითადი აქტივები	14 052,1	12 167,9	1 884,3	12 739,4	11 234,9	1 504,4	90,7
არაწარმოებული აქტივები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
ვალდებულებების კლება	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9	97,9
საშინაო	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9	97,9